

მუხლი 52.

უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
 - ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის - კლინიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შეფასება;
 - ე) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.
2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
 - ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები, წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი საბუთები: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი _ ატესტატი; კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური სემესტრული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
 - გ 1). უცხოელი სტუდენტი ვალდებულია ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში (რეგისტრაციის ვადაში) წარმოადგინოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. (N23/8. 24.12. 2012წ.)
 - გ 2). „გ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელი სტუდენტი ვერ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. (N23/8. 24.12. 2012წ.)
 - დ) ერთი თვის ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;
 - ე) დაიცვას ეთიკის კოდექსი;
 - ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.